

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 102

29 დეკემბერი 2020 წ.

ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი,
ლევან დარახველიძე, ვაჟა ოთარაშვილი, ბორია ფიცხელიანი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:

სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან - ირაკლი თავართქილაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას
ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა დავით უთმელიძე

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო მათ და
დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 ივლისის N61-88 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“(12-03203605-03)
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით გადაცემული, უძრავი ქონების (ჯიხურის განთავსების მიზნით) მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე (12-03203603-03)
3. ქ.თბილისში, სოფ.დიდომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების(საკ/კოდი:#01.72.14.034.711;#01.72.14.034.238;#01.72.14.034.243; ფართობი საერთო ჯამში -5615კვმ) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის /მათი უფლებამონაცვლებებისათვის და ინტერესთა გამოსატყვისად გამარჯვებული შპს“საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის“(ს/კ 405198806) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ. (12-03203604-03)
4. “ქალაქ თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბანი IV, კვარტალი I, კორპუსი N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.004.01.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“(12-032035679-03)

5. "ქალაქ თბილისში, ქუჩა ყვარელი N107ა, (ნაკვ.024/008)-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.024.008.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" "(12-032035679-03)

6. "ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, მეფუტკრეობის ქუჩა, N8-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.745.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" "(12-032035679-03)

7. "ქალაქ თბილისში, დაბა კორჯორი, იუნკერთა ქუჩა, N37-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.342.01.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" "(12-032035679-03)

8. "ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა გურამიშვილის N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.129.050.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" "(12-032035679-03)

9. „ქალაქ თბილისში, ს/ქ N43, ჯორჯ ბუშის ქუჩა მე-5 შესახვევი, კორპუსი N120-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.016.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" "(12-032035679-03)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავართქილაძემ.

მოისმინეს: „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 ივლისის N61-88 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 ივლისის N61-88 დადგენილებაში. კერძოდ, პროექტის თანახმად, დადგენილების მე-3 მუხლს გამონაკლისის სახით ემატება - შპს „საქართველოს ფოსტის“ ჯიხურები.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, შპს „საქართველოს ფოსტა“ არის საფოსტო ოპერატორი, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მომხმარებლის უზრუნველყოფა უნივერსალური საფოსტო მომსახურების სფეროში შემავალი სერვისებით. დღეის მდგომარეობით, საქართველოს ფოსტა 82 სერვის-ცენტრით არის წარმოდგენილი მთელი ქვეყნის მასშტაბით (მათ შორის 14 სერვის-ცენტრით ქალაქ თბილისში), კომპანიაში დასაქმებულია 2800-მდე მაღალკვალიფიციური კადრი. სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების შესასრულებლად, საქართველოს ფოსტას სერვის-ცენტრები აქვს ისეთ ტერიტორიულ ერთეულებშიც, სადაც გზავნილების/ამანათების რაოდენობის გათვალისწინებით, სერვის-ცენტრის ფუნქციონირება არ არის ეკონომიკურად მიზანშეწონილი. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების შესასრულებლად, კომპანიას უწევს ბიზნესის მხრივ არარენტაბელური სერვის-ცენტრების შენახვა. შესაბამისად, საქართველოს ფოსტას ძირითადი ფუნქციების ეფექტურად შესრულებისათვის, ესაჭიროება დამატებითი შემოსავალი ბიზნეს-საქმიანობიდან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს ფოსტას რამდენიმე

ჯიხური განთავსებული ჰქონდა ჭავჭავაძის გამზირზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში კი, აღნიშნული სავაჭრო ობიექტები არ იქნა მიჩნეული გამზირის თანამედროვე იერსახესთან შესაბამის ობიექტებად და თბილისის მუნიციპალიტეტის ქალაქგეგმარებითი პოლიტიკის გათვალისწინებით, მოხდა მათი გადატანა სხვა ტერიტორიებზე. ცენტრალური გამზირიდან ჯიხურების გადატანით, საქართველოს ფოსტამ დაკარგა შემოსავლის ნაწილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, საქართველოს ფოსტისათვის ბიზნეს საქმიანობაში ხელშეწყობას და მისთვის, ჯიხურების ნებისმიერ ადგილას განთავსების შესაძლებლობის მიცემას.

მომხრე-7. ვაჟა ოთარაშვილმა თავი შეიკავა.

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით გადაცემული, უძრავი ქონების (ჯიხურის განთავსების მიზნით) მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშეწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, „საზოგადოებრივ ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებული დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების მაქსიმალური ვადაა 1 წელი და შესაძლებელია ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელება. ვადის გაგრძელების მოთხოვნით განაცხადი მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილ ორგანოში წარდგენილი უნდა იქნეს ვადის გასვლამდე. ვადის ამოწურვის შემდეგ, როდესაც არ ხდება ვადის გაგრძელება, აუცილებელია დროებითი შენობისა და ნაგებობის დემონტაჟი, ტერიტორიიდან გატანა, აგრეთვე ამ ტერიტორიის კეთილმოწყობა ან/და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა“. აღნიშნულის გათვალისწინებით, საზოგადოებრივ ტერიტორიაზე, დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსება შესაძლებელი იყო მაქსიმუმ 1 წლის ვადით. ამ ვადის გასვლამდე კი შესაბამისი სუბიექტი ვალდებული იყო თავიდან მიემართა მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურისთვის, შეტყობინების განხორციელების გზით და მიეღო შენობა-ნაგებობის განთავსების უფლება ისევ არაუმეტეს 1 წლის ვადით.

ბოლო დროს პანდემიიდან გამომწვეული კრიზისის გამო, რიგ შემთხვევებში, შესაბამისი პირების, დროებითი შენობა-ნაგებობის - ჯიხურების განთავსების უფლების მქონე სუბიექტებმა აღნიშნული ვადა გაუშვეს და ერთწლიანი ვადის გასვლამდე, ვერ განახორციელეს შესაბამისი შეტყობინება. ამასთან, აღნიშნულ პირებს არ შეუწყვეტიათ ჯიხურების გამოყენება და გააგრძელეს იჯარით გადაცემული მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი ფლობა.

ამ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, გამონაკლისის სახით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ ამ პირებს მიეცეთ საშუალება, მიუხედავად ჯიხურების გამოყენების ვადის გასვლისა, მიმართონ მუნიციპალიტეტს და ჯიხურის გამოყენების 1 წლიანი მაქსიმალური ვადა გაიხანგრძლივონ არაუმეტეს კიდევ ერთი წლისა, ისე რომ მთელი ეს პერიოდი ჩაითვალოს ჯიხურის გამოყენების მაქსიმალურ ვადად.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად, იმ მოიჯარეთა მიმართ, რომელთაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯიხურის განთავსების მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების იჯარის ხელშეკრულების ვადა ამ

განკარგულების გამოცემის მომენტისათვის გასულია (მათ შორის, ხელშეკრულება შეწყვეტილია), თუმცა მოიჯარე ფაქტობრივად სარგებლობს მიწის ნაკვეთით (მასზე განთავსებული აქვს ჯიხური) და მიწის ნაკვეთი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სხვა პირზე არ არის რაიმე ფორმით განკარგული, იჯარის ვადის ამოწურვის თარიღიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე იჯარის ვადა მიჩნეულ იქნება გაგრძელებულად და ამ პერიოდზე ფაქტობრივი სარგებლობისათვის გადასახდელი საიჯარო ქირა განისაზღვრება 0 (ნული) ლარის ოდენობით. ასეთ მოიჯარეებს იჯარის ვადის ამოწურვის თარიღიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე ფაქტობრივი სარგებლობისათვის გადასახდელი საიჯარო ქირის გადაუხდებლობის გამო არ დაეკისრებათ პირგასამტეხლო.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, განკარგულების შესაბამისად, მოიჯარეთა მიერ შესაბამისი ნების გამოხატვის შემთხვევაში, შესაბამის მიწის ნაკვეთზე ჯიხურის განთავსების მიზნით იჯარის ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს 2021 წლის 1 ივლისამდე, უცვლელად - შესაბამისი იჯარის ხელშეკრულების პირობებით, რაც მოიცავს, მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის პირობას. ამასთან, მიწის ნაკვეთით ფაქტობრივი სარგებლობისთვის გადახდილი საიჯარო ქირა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არცერთ შემთხვევაში არ ექვემდებარება ჩათვლას ან/და დაბრუნებას. აღნიშნული ღონისძიება (იჯარის ვადის 1 ივლისამდე გაგრძელება) გავრცელდება მხოლოდ იმ მოიჯარეთა მიმართ, რომლებიც აკმაყოფილებენ განკარგულებით დადგენილ კრიტერიუმებს და გამოხატავენ ნებას არაუმეტეს 2021 წლის 1 ივლისამდე პერიოდზე იჯარის უფლების იმავე პირობებით გაგრძელების თაობაზე, არაუგვიანეს 2021 წლის 28 თებერვლისა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის შესაბამისი განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენის გზით. მოიჯარის განცხადებას თან უნდა დაერთოს მომართვის დროისათვის მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად ფლობის (განთავსებული ჯიხურის) დამადასტურებელი ფოტომასალა.

ამასთან, წარმოდგენილი განკარგულების თანახმად, იმ მოიჯარეთა მიმართ, რომელთაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯიხურის განთავსების მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების იჯარის ხელშეკრულების ვადა იწურება 2021 წლის 1 ივლისამდე, მოიჯარეთა მიერ შესაბამისი ნების გამოხატვის შემთხვევაში, იჯარის ვადა გაგრძელდეს 2021 წლის 1 ივლისამდე, უცვლელად - შესაბამისი იჯარის ხელშეკრულების პირობებით, რაც მოიცავს, მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის პირობას. აღნიშნული ღონისძიება გავრცელდება მხოლოდ იმ მოიჯარეთა მიმართ, რომლებიც აკმაყოფილებენ დადგენილ კრიტერიუმებს და გამოხატავენ ნებას არაუმეტეს 2021 წლის 1 ივლისამდე პერიოდზე იჯარის უფლების იმავე პირობებით გაგრძელების თაობაზე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვისა, თუმცა ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს 2021 წლის 1 ივლისისა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის შესაბამისი განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენის გზით.

წარმოდგენილი განკარგულების თანახმად, განკარგულებით განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული), ჯიხურის განთავსების მიზნით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მიმღებთა მიმართ, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოხსენებულ კრიტერიუმებს.

მომხრე-7 ვაჟა ოთარაშვილმა თავი შეიკავა.

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, სოფ.დიდომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (საკ/კოდი:#01.72.14.034.711;#01.72.14.034.238;#01.72.14.034.243; ფართობი საერთო ჯამში - 5615კვმ)ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის /მათი უფლებამონაცვლეებისათვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს“საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის“(ს/კ 405198806) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2020 წლის 31 იანვრიდან 2020 წლის 28 თებერვლის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, სოფელ დიდომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ჯამში 5615 კვ.მ.) მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: N01.72.14.034.711; ს/კ: N0172.14.034.238; ს/კ: N01.72.14.034.243) საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა (მინიმალური ფართობი კ2=4.6-ის გათვალისწინებით - 2600 კვ. მ.) და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივების წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში უპირატესი წინადადება - დაზარალებული პირებისათვის გადასაცემი ფართი 4 220 კვ. მ-ის ოდენობით - წარმოდგენილი იყო შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფის“ მიერ. ამასთან, კომპანიას სრულად ჰქონდა წარმოდგენილი ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია, მათ შორის, უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია 1 000 000 ლარის ოდენობით. შესაბამისად, აღნიშნული კომპანია გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად.

ინტერესთა გამოხატვის პირობების შესაბამისად, სააგენტომ განახორციელა კოოპერატივების წევრთა დაკმაყოფილებისათვის საჭირო პროცედურები და დაიწყო პროექტის ფარგლებში დასაკმაყოფილებლ პირთა სიის ფორმირება. ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში კომპანიის მიერ კოოპერატივის წევრებისათვის გადასაცემი სამშენებლო ფართი (4 220 კვ. მ), მიწის ნაკვეთების ფართობების პროპორციულად, გადანაწილდა შემდეგნაირად: N01.72.14.034.711 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (სოფელი დიდომი, 2700 კვ. მ) გადასაცემი ფართი განისაზღვრა - 2025.6 კვ. მ-ის ოდენობით, N01,72,14,034,238 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (სოფელი დიდომი, 1488 კვ. მ) – 1118.3 კვ. მ-ის ოდენობით, ხოლო N01.72.14.034.243 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (სოფელი დიდომი, 1427 კვ. მ) – 1076.1 კვ. მ-ის ოდენობით;

კოოპერატივების წევრების სიის ფორმირება არსებითად განხორციელდა სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული დაბალი სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. კერძოდ, სიის ფორმირებისას გათვალისწინებული იქნა იმ პირთა მონაცემები, რომელთაც აღნიშნული პერიოდისათვის სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია - ყველა ის საჭირო დოკუმენტი, რაც, მათი, როგორც დაზარალებული პირების, იდენტიფიცირების და დაკმაყოფილების საშუალებას იძლეოდა და უპირატესობა მიენიჭათ ყველაზე დაბალი სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე პირებს.

„ქ. თბილისში, დიდი დიდომი, IV მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 8613 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.004.058) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და შპს „პერსპექტივასათვის“ (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N81 განკარგულების გამოცემის შემდეგ, ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის ცნობილი გახდა, რომ განკარგულების დანართი N1-ის 78-ე პუნქტით განსაზღვრული, ე.წ. „სხვა კოოპერატივების წევრი“ ჯონდო ლილუაშვილი (პ.ნ. 01020015758) გარდაიცვალა 2020 წლის 21 თებერვალს ანუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 მაისის N20.505.651 განკარგულების გამოცემამდე, ამასთან, მათი გამოცემის დროისათვის, არ იყო გაცემული სამკვიდრო მოწმობა და არ იყო ცნობილი ჯონდო ლილუაშვილის მემკვიდრეების ვინაობა, თუ ვინ წარმოადგენდა მის უფლებამონაცვლეს მოცემულ სამართალურთიერთობაში, რაც დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენდა მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმებისა და პროექტის განხორციელებისათვის.

პროექტის განხორციელების პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, ვინაიდან, ჯონდო ლილუაშვილის გარდაცვალების ფაქტის გამო, 2020 წლის 21 აგვისტომდე შეუძლებელი ხდებოდა მხარეთა შორის დასადები ხელშეკრულებების გაფორმება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 მაისის N20.505.651 განკარგულების დანართი N1-ის 78-ე პუნქტში ცვლილების განხორციელება და ჯონდო ლილუაშვილის ჩანაცვლება სხვა პირით, რომელიც აკმაყოფილებდა „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქნილ საკითხთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 7 დეკემბრის N18.996.1373 განკარგულებით გათვალისწინებულ რიგითობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს. კერძოდ, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული დაბალი სარეიტინგო ქულისა და მისადები ფართის ოდენობის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ჯონდო ლილუაშვილის ნაცვლად, ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივის წევრის, ლუჩია კობახიძის უფლებამონაცვლის, ვახტანგ რუსეიშვილის დაკმაყოფილების თაობაზე.

კომისიის წევრების შეკითხვაზე ირაკლი თავართქილაძენ აღნიშნა, რომ რომ 2020 წლის 1 ივნისის N200308726 სანოტარო აქტის საფუძველზე, ჯონდო ლილუაშვილის შვილებმა და მეუღლემ როგორც სავარაუდო მემკვიდრეებმა, განაცხადეს, რომ თანახმა არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და საკრებულომ მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ განკარგულებებში საჭირო ცვლილების განხორციელებისა და ჯონდო ლილუაშვილის დასაკმაყოფილებელ პირთა სიიდან ამოღების თაობაზე, იმ პირობით, რომ ჯონდო ლილუაშვილის უფლებამონაცვლების დადგენის შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი მოახდენს მისი მემკვიდრეებისათვის, ჯონდო ლილუაშვილის კუთვნილი წილის საკუთრებაში გადაცემას და დააკმაყოფილებს მათ, სამკვიდროს გაცემის დროისათვის, კოოპერატივების წევრთა დაკმაყოფილების მიზნით დაგეგმილი შესაბამისი პროექტიდან.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ განკარგულების დანართი N1-ის 46-ე პუნქტით გათვალისწინებული პირი ელენე თავაძე, რომელიც არის გია თავაძის უფლებამონაცვლე, წარმოადგენდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის N04.19.76 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N47 განკარგულებების ერთ-ერთ ადრესატს, რომლის საფუძველზეც, ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, ე.წ. მხატვრების დასახლების მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6738 კვ. მ (ნაკვეთი 02/028) (საკადასტრო კოდი: N01.14.02.002.028) და 6276 კვ.მ (ნაკვეთი 02/027) (N01.14.02.002.027) მიწის ნაკვეთები პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცათ ყოფილი კოოპერატივების წევრებს. მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა პირებმა მათ შორის, ელენე თავაძემ, ვერ მოახდინეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის N04.19.76 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N47 განკარგულებებით მინიჭებული უფლების რეალიზაცია და 2017 წლიდან დღემდე ფაქტობრივად ვერ დაუფლნენ გადაცემულ მიწის ნაკვეთებს, ვინაიდან ამ მიწის ნაკვეთების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ დავა მიმდინარეობს სასამართლოში. ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული პირების დაკმაყოფილება სხვა უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის გზით. სასამართლოში დავის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში კი, მუნიციპალიტეტი იმოქმედებს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის არსებული ფაქტობრივი მოცემულობის შესაბამისად. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ 2020 წლის 13 მაისის N20.505.651, 2020 წლის 27 მაისის N20.545.685, 2020 წლის 3 ივნისის N20.561.718 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2020 წლის 15 მაისის N81 და 2020 წლის 9 ივნისის N125 განკარგულებებით, მიზანშეწონილად მიიჩნია დაეკმაყოფილებინა 2017 წლის განკარგულებების აღრესატაგან კოოპერატივების ის წევრები (54 პირი), რომელთაც თანხმობა განაცხადეს მითითებული განკარგულებებით გათვალისწინებული უძრავი ქონებიდან შესაბამისი წილის საკუთრებაში გადაცემაზე. ამ განკარგულების დანართი N1-ის 46-ე პუნქტით გათვალისწინებული პირი ელენე თავაძე, აღნიშნული განკარგულებების გამოცემის დროისათვის, არ აცხადებდა ამ განკარგულებებით გათვალისწინებულ პროექტებში დაკმაყოფილებაზე. თუმცა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტის საფუძველზე, მან უარი განაცხადა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის N04.19.76 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N47 განკარგულებების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებაზე, ალტერნატიული უძრავი ქონების გადაცემის პირობით. კერძოდ, იგი თანახმაა მითითებული განკარგულებებით გადაცემულ ფართებზე უარის თქმის სანაცვლოდ, დაკმაყოფილდეს ქ. თბილისში, სოფელ დიდომში (ს/კ: N01.72.14.034.238) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 1488 კვ. მ. მიწის ნაკვეთიდან შესაბამისი წილის მიღებით.

აქედან გამომდინარე, ამ განკარგულებების დანართი N1-ის 46-ე პუნქტით განსაზღვრული პირის, ელენე თავაძის, მიმართ ამ განკარგულების გამოცემა წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და საკრებულოს განკარგულებების მის ნაწილში ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველს, მისი გამოცემის დღიდან.

მომხრე-7 ვაჟა ოთარაშვილმა თავი შეიკავა.

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: “ქალაქ თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბანი IV, კვარტალი I, კორპუსი N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.004.01.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

ქალაქ თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბანი IV, კვარტალი I, კორპუსი N21-ში, მე-9 სართულზე, შენობა N1, ბინა N35-ში მდებარე 86.82 კვ.მ. უძრავი ქონება (საკადასტრო კოდები: N01.17.07.031.004.01.035) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თამარ ლეკიაშვილს ,რომელიც 1996 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. საჯარო რეესტრის მონაეცემებით არც მასზე და არც მისის ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მომხრე-7 ვაჟა ოთარაშვილმა თავი შეიკავა.

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: “ქალაქ თბილისში, ქუჩა ყვარელი N107ა, (ნაკვ.024/008)-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.024.008.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

ქალაქ თბილისში, ქუჩა ყვარელი N107ა, (ნაკვ.024/008)-ში, პირველ სართულზე მდებარე 111.12 კვ.მ. უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.08.024.008.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ინგა ბანცაძეს . მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2008 წლიდან. წარმოდგენილია ცხოვრების დადასტურებასთან დაკავშირებით შსს და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული წერილები. საჯარო რეესტრის მონაცემებით მასზე უძრავი ქონების რეგისტრაცია არ ფიქსირდება.

მომხრე-7 ვაჟა ოთარაშვილმა თავი შეიკავა.

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: “ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, მეფუტკრეობის ქუჩა, N8-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.745.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, მეფუტკრეობის ქუჩა, N8-ში, მე-2 სართულზე, ბინა N3-ში მდებარე 37.16 კვ.მ. უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N81.02.13.745.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მარინე აფციაურს , რომელიც 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. საჯარო რეესტრის მონაცემებით მასზე უძრავი ქონების რეგისტრაცია არ ფიქსირდება.

მომხრე-7 ვაჟა ოთარაშვილმა თავი შეიკავა.

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: “ქალაქ თბილისში, დაბა კორჯორი, იუნკერთა ქუჩა, N37-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.342.01.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

ქალაქ თბილისში, დაბა კორჯორი, იუნკერთა ქუჩა, N37-ში, პირველ სართულზე მდებარე 76.00 კვ.მ. ბინა N9 (საკადასტრო კოდი: N81.01.06.342.01.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნინო ალთუნაშვილს, რომელიც 2011 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. წარმოდგენილია ცხოვრების დადასტურებასთან დაკავშირებით შსს და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული წერილები. საჯარო რეესტრის მონაცემებით არც მასზე და არც მისის ოჯახის წევრებზე უძრავი ქონების რეგისტრაცია არ ფიქსირდება.

მომხრე-7 ვაჟა ოთარაშვილმა თავი შეიკავა.

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: “ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა გურამიშვილის N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.129.050.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა გურამიშვილის N24-ში, პირველ სართულზე, მდებარე 93.97კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.20.01.129.050.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნინო მესხს . მოქალაქე 1993 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. საჯარო რეესტრის მონაცემებით მასზე უძრავი ქონების რეგისტრაცია არ ფიქსირდება.

მომხრე-7 ვაჟა ოთარაშვილმა თავი შეიკავა

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ს/ქ N43, ჯორჯ ბუშის ქუჩა მე-5 შესახვევი, კორპუსი N120-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.016.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

ქალაქ თბილისში, ს/ქ N43, ჯორჯ ბუშის ქუჩა მე-5 შესახვევი, კორპუსი N120-ში, მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.08.016.016) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა დანართით მოცემულ პირებს (10 ოჯახი- საერთო ჯამში 482,06 კვმ საცხოვრებელი ფართი)

უნდა აღინიშნოს რომ რამოდენიმე მოქალაქეზე (3 პირი) წარმოდგენილია 2009 წლის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური საბინაო კომისიის გადაწყვეტულებით საბინაო ფონდიდან სამხედრო მოსამსახურეზე განაწილებული მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად მათ გაუნაწილდათ საცხოვრებელი ფართი. ასევე წარმოდგენილია ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რის თანახმადაც აღნიშნულ პირებს , არც მათი ოჯახის წევრებს არ ექნებათ არანაირი პრეტენზია და მოთხოვნა თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მომხრე-7 ვაჟა ოთარაშვილმა თავი შეიკავა

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე



დავით უთმელიძე